ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4883794

ნომერი: AR1735009

თარიღი : 26.02.2020

გაცემის თარიღი : 04.03.2020

გაცნობის თარიღი : 05.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მესხეთის ქ.N113 (112ა);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი მამულაშვილი პ/ნ 13001052718
- გურჯაანი ს. კარდენახი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1) ....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ ტერიტორიაზე ფიქსირდება ხე-ნარგავები (ბუჩქები), რომლებიც არ არის ასახული ტოპოგრაფიულ გეგმაზე. განმარტეთ აღნიშნულის სესახებ და განაახლეთ ტოპო-გეგმა.
ასევე ვინაიდან თქვენი ნაკვეთი 5მეტრზე მეტი მანძილითაა მოშორებული საზოგადოებრივი სივრციდან (სავალი გზიდან), საჭიროა წარმოადგინოთ სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო"-ს პოზიცია, როგორც წერილობით ასევე გრაფიკული მასალის, დანართის სახით.

2) ....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის CAD ფაილი (AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით) : .

3) ....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ შორი მანძილიდან და სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ერთიანი ფოტომასალა (და არა ფრაგმენტული, როგორც ეს წარმოდგენილი გაქვთ), სადაც ნათლად გამოჩნდება მთლიანი ტერიტორია.

4)....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ბანერი წარმოადგენს გრაფიკულად დამუშავებულს.

5) ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავებიდან თავისუფალ ტერიტორიაზე სადაც დაცული იქნება ხეებთან მიმართებაში 3 მეტრიანი ხოლო ბუჩქების შემთხვევაში 1.5 მეტრიანი დაშორების სამშენებლო ნორმები. სხვა შემთხვევაში უნდა წარმოდგინოთ არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია სადაც მითითებული იქნება თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას. ასევე აღნშნული უნდა დაიტანოთ სქემაზეც.
არსებულ ხე-მცენარეებზე დატანილ იქნას ტაქსაციის შესაბამისად ნუმერაცია და გაითვალისწინეთ, რომ მიშენებულ ნაწილსა და არსებულ ხე-მცენარეებს შორის დაცული უნდა იყოს მინიმალური 3 მეტრიანი მანძილი.

6) თქვენ დაინტერესებაში არსებულ ნაკვეთზე გადის ხაზობრივი ნაგებობა -მილსადენი (ს.კ. 01.01.744). საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ (შპს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის") გაცემული თანხმობა

ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

7) ასევეტერიტორია ყვება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" „სამგორი-ვაზისუბანი“, „ახმეტელი-თემქა“ და „სამება-მახათის მთის“ საჰაერო სატრანსპორტო კვლევის არეალში. წარმოადგინეთ აღნიშNული კომპანიის შესაბამისი თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.